**მოწვევა ტენდერში მონაწილეობისთვის**
**CNF/2020/GA-GEO-112**

**ძირითადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| **სრული დასახელება:** | **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე *ახალდაბა-მთა შუანთო -მთა ქართა -ახალდაბა* საფეხმავლო ბილიკის და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად** |
| **სამუშაო ადგილი:** | ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნეძვის აღკვეთილი, ბორჯომის რაიონი, საქართველო. |
| **დავალების ხანგრძლივობა:** | მაქსიმუმ 4 თვე მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. |
| **დაწყების თარიღი:** | არა უგვიანეს ივლისი, 2020. |
| **კონტრაქტის ტიპი:** | დღგ-სგან გათავისუფლებული საგრანტო ხელშეკრულება.<br>ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე. |
| **განაცხადის პროცედურა:** | განაცხადის პაკეტი უნდა გაიგზავნოს მისამართზე recruiting@caucasus-naturefund.org შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით – CNF/2020/GA-GEO-112 |
| **განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:** | 7 ივლისი, 2020 საქართველოს დროით სამუშაო დღის დასრულებამდე (COB UTC/GMT +4h) |
| **დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:** | თამარ პატარიძე, კავკასიის ბუნების ფონდის პროექტის მენეჯერი; ელ.ფოსტა: tpataridze@caucasus-naturefund.org |

1. <u>კავკასიის ბუნების ფონდის შესახებ</u>

კავკასიის ბუნების ფონდი წარმოადგენს კონსერვაციულ არა-მოგებაზე ორიენტირებულ სატრასტო ფონდს, რომელიც შეიქმნა 2007 წელს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერითა და გერმანიის განვითარების ბანკის (KfW), კონსერვაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Conservation International) და ბუნების მსოფლიო ფონდი – გერმანიის (WWF Germany) მეშვეობით.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით, გრძელვადიანი დაფინანსების და მენეჯმენტის დახმარების უზრუნველყოფით კავკასიის ბუნების ფონდი ხელს უწყობს კავკასიის უნიკალური ფლორის, ფაუნის და ეკოსისტემების კონსერვაციას მომავალი თაობებისთვის და ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას .

კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას საოპერაციო და საკადრო დანახარჯების შევსებით და შესაძლებლობების გაძლიერებას დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაკონიერობა, ხე-ტყის ჭრა და სხვა უკანონო ქმედებებზე რეაგირება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების და ბუნებრივი ეკოსისტემების  მონიტორინგი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ტურიზმისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

## 2. <u>განსახორციელებელი პროექტის მონახაზი</u>

1995 წელს ბუნების მსოფლიო ფონდის/გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (WWF/KFW) პროექტმა ხელი შეუწყო ტურიზმის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის შექმნას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და საფუძველი ჩაუყარა საფეხმავლო ბილიკების და ტურისტული თავშესაფრების ამჟამად არსებულ ქსელს, ვიზიტორთა ცენტრის მართვას და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამას. მას შემდეგ ვიზიტორთა პროგრამა და ვიზიტორთა მომსახურება მნიშვნელოვნად განვითარდა, განსაკუთრებით მრავალდღიანი საფეხმავლო ტურები, ცხენოსნობა და ერთდღიანი „პიკნიკები“.

2016 წელს კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) ხელშეწყობით შემუშავდა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რათა დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მომზადებულიყო სახელმძღვანელო მითითებები ტურიზმის განვითარებისთვის და ინვესტიციების მხარდაჭერისთვის. ხოლო 2017 წელს, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სამდივნოს (TJS) ხელშეწყობით შემუშავდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომლის ფარგლებში გაკეთებული შეფასების თანახმად „პარკში ახალ მიმართულებას წარმოადგენს ნეძვის აღკვეთილის ბილიკი,სადაც შესაძლებელია სალაშქრო კულტურულ-ისტორიული მარშრუტის დაგეგმვა და მარკირება“, ხოლო ერთ-ერთ რეკომენდაციად სწორედ ნეძვის აღკვეთილის ტურისტული პოტენციალის ათვისება და ადგილზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაა.

წინამდებარე ტენდერის მიზანია შეარჩიოს ადგილობრივი კომპანია, რომელიც მოაწყობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, კერძოდ ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე ***ახალდაბა-მთა შუანთო - მთა ქართა - ახალდაბა საფეხმავლო ბილიკს და მის თანმდევ ტურისტულ ინფრასტრუქტურას*** დანართ 1-ში მოწოდებული ტექნიკური პროექტის  და მახასიათებლების გათვალისწინებით.

კავკასიის ბუნების ფონდი ხელს შეუწყობს ნეძვის აღკვეთილის ტურისტული პოტენციალის შექმნა-განვითარებას GEF 6-UNDP პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება“.

3. <u>სამუშაოს აღწერა</u>

**ნეძვის აღკვეთილში ახალდაბა-მთა შუანო-მთა ქართა-ახალდაბა საფეხმავლო ბილიკისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა დანართ 1-ში მოცემული სპეციფიკაციის მიხედვით.** სამუშაო პროცესი უნდა მოიცავდეს 2 ძირითად ეტაპს:

> **ეტაპი 1: ტექნიკური პროექტის დეტალების, ასევე შესასრულებელი სამუშაოს გეგმა-გრაფიკის, საბოლოო ბიუჯეტის დაზუსტება და საბოლოო შეთანხმება** დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან და კავკასიის ბუნების ფონდთან. დეტალების გარკვევისა და დაზუსტების ეტაპზე ვიზიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, კერძოდ ნეძვის აღკვეთილის გეგმარებით ტერიტორიზე ბილიკის და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობი ტერიტორიის დასათვალიერებლად (საჭიროებისამებრ).
>
> **ეტაპი 2:** შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის, ბიუჯეტის და ტექნიკური პროექტის ფარგლებში **ბილიკის და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების ჩატარება.**

4. <u>შემსრულებლის კვალიფიკაცია</u>
   *იხილეთ დანართი 1 . პუნქტი 2 - ტექნიკური მოთხოვნები*

5. <u>განაცხადის წარდგენის წესი</u>

განმცხადებელმა უნდა წარადგინოს განაცხადის სრული პაკეტი ქართულ ენაზე, მათ შორის, მოცემული უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი:

- განმცხადებლის მიერ განხორციელებული მსგავსი პროექტების პორტფოლიო (დოკუმენტური მასალა);
- ორგანიზაციის პროფილი ან/და ძირითადი ექსპერტების რეზიუმეები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროექტში, მათი ფუნქციების მითითებით;
- შევსებული სამუშაო გეგმა/გრაფიკი (იხილეთ დანართი 1.2);
- შევსებული ხარჯთაღრიცხვის ფორმა (იხილეთ დანართი 1.4);
- სულ მცირე ორი რეკომენდაცია კომპანიის მიერ შესრულებული პროექტის ბენეფიციარისგან.

კავკასიის ბუნების ფონდმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/მასალები ზევით აღწერილი განაცხადის საწყისი პაკეტის წარდგენის შემდეგ.

6. <u>ბიუჯეტი</u>

კონტრაქტის და სამუშაოს აღწერილობით **(იხილეთ დანართი 1.1.)** განსაზღვრული ამოცანების სრულად და დამაკმაყოფილებლად განსახორციელებლად კავკასიის ბუნების ფონდი გადაიხდის ერთიან თანხას, რომელსაც მომსახურების მიმწოდებლი წარადგენს სატენდერო დოკუმეტაციაში, კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისად, ასევე სამუშაო პროგრამის და განზრახული მიდგომის შემდგომი დეტალიზების საფუძველზე. შემოთავაზებულ ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ყველა ხარჯი და თანხა, შრომითი ანაზღაურება, მასალების და შესყიდვების, ტრანსპორტირების, დღიური საცხოვრებელი ხარჯები, მგზავრობის ხარჯები,

გადასახადები, ზედნადები ხარჯები, დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი და ა.შ., რაც განსაზღვრული უნდა იყოს დეტალურად ხარჯების აღწერილობაში და უნდა წარმოადგენდეს განაცხადის შემადგენელ ნაწილს.
ხარჯთაღიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 1.4-ის შესაბამისად.
წინამდებარე პროექტის ფინანსდება GEF 6-UNDP პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება" ფარგლებში და გატავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან. შესაბამისად, ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს გათვალისწინებული წარმოდგენილ ხარჯთაღიცხვაში.

## 7. <u>დამატებითი ინფორმაცია</u>

განაცხადის მომზადებისას გაღებული ნებისმიერი ხარჯი წარმოადგენს განმცხადებლის პასუხისმგებლობას და კავკასიის ბუნების ფონდის მიერ არ ანაზღაურდება.

მომსახურების მიმწოდებელს უფლება აქვს დადოს ქვეკონტრაქტები, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის. თუ მომსახურების მიმწოდებელი ითვალისწინებს ქვეკონტრაქტორების გამოყენებას, ის იღებს სრულ პასუხისმგებლობას მათ მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე. მთლიანი საქმიანობის ერთი ან რამდენიმე ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემა ნებადართული არ არის. თუ გათვალისწინებულია ქვეკონტრაქტორების გამოყენება, განაცხადის პაკეტი ასევე უნდა შეიცავდეს განზრახული ქვეკონტრაქტორების გამოცდილების აღწერას და შესაბამის რეზიუმეებს, ასევე ყველა განზრახული ქვეკონტრაქტორის მიერ ხელმოწერილ ინტერესის გამოხატვის დეკლარაციას, სადაც აღწერილი იქნება თანამშრომლობის გათვალისწინებული ფორმა, განსაზღვრული იქნება წამყვანი მომსახურების მიმწოდებელი, მოცემული იქნება სამუშაოს განაწილება და ა.შ. კავკასიის ბუნების ფონდთან ნებისმიერი კონტრაქტის ხელმოწერამდე მომსახურების მიმწოდებელს მოეთხოვება ყველა ქვეკონტრაქტორთან ოფიციალური ხელშეკრულების დადების, მათ შორის, ერთობლივი და ინდივიდუალური ვალდებულებების განსაზღვრის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა.
კონტრაქტის დადება განხორციელდება კავკასიის ბუნების ფონდის შეფასების კომისიის შეფასების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ კავკასიის ბუნების ფონდის და შესაბამისი მესამე მხარეების წარმომადგენლები. კომისია შეაფასებს განაცხადის პაკეტით წარდგენილ ინფორმაციას და გამოავლენს გამარჯვებულს შემდეგი კრიტერიუმით:

1. შეთავაზების/შესასრულებელი სამუშაოს განხორციელების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - 25%
2. შემსრულებლის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV) – 25%
3. სამუშაოს შესრულების გეგმა/გრაფიკი- 20%
4. ფინანსური შეთავაზება - 30%

შეფასების კომისიამ შეიძლება ჩაატაროს გასაუბრება ერთ ან მეტ განმცხადებელთან შეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

კავკასიის ბუნების ფონდის შეფასების კომისია ინარჩუნებს უფლებას, რომ გააუქმოს პროცედურა ნებისმიერ დროს და საერთოდ არ დადოს კონტრაქტი, განმცხადებლებისთვის შემდგომი შეტყობინების გარეშე. ის ასევე ინარჩუნებს უფლებას, რომ არ შეარჩიოს ის შეთავაზება,

რომელსაც ყველაზე დაბალი ფასი აქვს. კავკასიის ბუნების ფონდი ვალდებული არ არის დადოს კონტრაქტი, თუ მიჩნეული იქნება, რომ წარდგენილი შეთავაზებები ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
მომსახურების მიმწოდებელი იმოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორი, კავკასიის ბუნების ფონდთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე.

**დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.**

დანართი 1 - CNF/2020/GA-GEO-112

1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

ნეძვის აღკვთილში ახალდაბა-მთა შუანო-მთა ქართა-ახალდაბა საფეხმავლო ბილიკისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები

1.2. საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია:

- პროექტის დანართი N 1.1;
- გეგმა-გრაფიკი დანართი N 1.2;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დანართი N 1.3.

1.3. ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

- ხარჯთაღრიცხვა- გაფასების გარეშე (ექსელის ფაილი) დანართი N 1.4;

1.4. საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

1.4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვეში (123 კალენდარული დღე).

1.5. საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1. მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა წარმოების საფუძველია „სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი“, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების აუცილებელ ნაწილს და შედგენილია ,,კავკასიის ბუნების ფონდის“ (CAUCASUS NATURE FUND) მოთხოვნათა შესაბამისად;

1.5.2. პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო წინადადებაში, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკისა და ხარისხის მოთხოვნების შესრულებას;

1.5.3. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი დარღვეულია უწყვეტად, ორი კვირის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი არ ცხადდება სამშენებლო მოედენაზე უწყვეტად 2 კალენდარული დღის მანძილზე, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს 3 სამუშაო დღეში;

1.5.4. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 1.5.3 პუნქტის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა, ასევე, ვითარება, როდესაც პროექტის ხელმძღვანელი უკვე შეიცვალა ორჯერ, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობათა არსებით დარღვევას, რომლის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება;

1.5.5. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

1.5.6. ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი შესრულება;

1.5.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს ჩატარებული სამუშაოები;

1.5.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან;

1.5.9. მიმწოდებელი ვალდებულია აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა;

1.5.10. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური ასეთის არსებობის შემთხვევაში;

1.5.11. სამუშაოს შესრულების ადგილი: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნეძვის აღკვეთილი, ბორჯომის რაიონი, საქართველო, საკადასტრო კოდი - 64.27.01.088

## 1.6. შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა

შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართს და შესაბამისად მის განუყოფელ ნაწილს.

1. სახურავი - 10 წელი ქანობიანი გადახურვა, 5 წელი რბილი გადახურვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. კარ-ფანჯრები - იზოალუმინი -5 წელი, საკეტები -1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3. შენობის შიდა მოპირკეთება - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. ფასადის და სარინელის სამუშოები - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5. სამღებრო სამუშაოები - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6. სანტექნიკა და ელექტროობა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7. გათბობის სისტემა - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8. იატაკი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9. კონსტრუქციები (ახალი შენობის მშენებლობის შემთხვევაში) - 20 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

11. სხვა დანარჩენი - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

შემსრულებელი ასევე ვალდებულია წარმოადგინოს საექსპლოატაციო მოხმარების გეგმა, მეთოდოლოგია და განფასება.

2. **ტექნიკური მოთხოვნები**

**2.1.** მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტს, საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი), 2016 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 400 000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების წარმოების და არანაკლებ 400 000 ლარის ღირებულების ეკო-ტურისტული ბილიკების მოწყობის გამოცდილება[1]. აქედან, სავალდებულოა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ეკო-ტურისტული ბილიკების მოწყობის სამუშაოს ღირებულება შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.
მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა აწარმოოს „ტექნიკური რეგლამენტის – „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ “საქართველოს მთავრობის N475 დადგენილებისა და საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მოთხოვნათა შესაბამისად.
„ტექნიკური რეგლამენტის – „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N475 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით მონიშვნების შესრულების დადასტურების მიზნით.
ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ბენეფიციარის (პროდუქტის საბოლოო მიმღების) მიერ გაცემული რეკომენდაცია.

სარეკომენდაციო წერილში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, ხელშეკრულების ნომერი, შესყიდვის ობიექტის დასახელება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია სრულად და ჯეროვნად. გარდა ამისა პრეტენდენტმა მოთხოვნილი გამოცდილების დასტურად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებ(ები)ა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ანგარიშფაქტურ(ები)ა (არსებობის შემთხვევაში - ვრცელდება ანგარიშფაქტურ(ებ)აზე) ან ანგარიშსწორების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (საგადახდო დავალება)“.

[1] იმ შემთხვევაში, თუ ერთ კომპანიას არ აქვს ორივე მიმართულებით აღნიშნული გამოცდილება, შესაძლებელია სამშენებლო და ეკო-ტურისტული ბილიკის მოწყობის გამოცდილება გადანაწილებული იყოს კონსორციუმის ფორმატში მონაწილე ორ კომპანიას შორის.

**2.2.** მოთხოვნა პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ

2.2.1. პრეტენდენტმა ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყოს პროექტის ხელმძღვანელი და/ან მთავარი ინჟინერი (უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე პასუხისმგებელი პირი), რომელთაც წარმატებით აქვთ განხორციელებული არანაკლებ ორი მსგავსი პროექტი (იგულისხმება შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო და ბილიკების ან გზების მოწყობის სამუშაოები).

2.2.2. სასურველია პრეტენდენტს გააჩნდეს:

- საქართველოს დაცული ტერიტორიების ცოდნა;
- საჯარო სექტორთან მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროექტებთან მუშაობის გამოცდილება და ცოდნა.

**2.3.** მოთხოვნა საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან დაკავშირებით (გეგმა-გრაფიკი).

პრეტენდენტი ვალდებულია თანდართული ფაილის შესაბამისად წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 123 კალენდარულ დღეს.

**2.4.** მოთხოვნა პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ

პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს, რომ სხვა კონტრაქტების ფარგლებში საავანსო გადახდების გარდა გააჩნია ან/და ხელი მიუწვდება ფინანსურ რესურსებზე, მათ შორის დამტკიცებული საკრედიტო ხაზი (რომლის შემთხვევაშიც მითითებული უნდა იყოს დარჩენილი რესურსი და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ რესურსზე პრეტენდენტს ხელი მიუწვდება ბანკთან დამატებითი შეთანხმებებისა და საკრედიტო კომიტეტზე განხილვის გარეშე). ხელმისაწვდომი რესურსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს. აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა მომსახურე ბანკიდან.

**2.5.** მოთხოვნა ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტების შესახებ

2.5.1. სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომლებიც მითითებულია თანდართულ ფაილში. აღნიშნულის დამადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოდგინოს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი;

გამოსაყენებელ მასალათა სპეციფიკაცია (პროექტის შესაბამისად) დანართი N 1.5:

3. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

**3.1.** მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის

ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა მოხდეს სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი''-ს მიერ აკრედიტებული ორგანიზაციის (პირი) დასკვნის საფუძველზე (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), ან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით;

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა უნდა დასტურდებოდეს როგორც პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული წინადადების ფასთან (ხარჯთაღრიცხვის ჯამურ ღირებულებასთან), ასევე ხარჯთაღრიცხვის ერთეულებთან მიმართებით.

**3.2.** ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

4. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

**4.1.** იურიდიული პირისთვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

**4.2.** ინდივიდუალური მეწარმისთვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

**4.3.** ფიზიკური პირისთვის

ა) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.
ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

**4.4.** არარეზიდენტი პირისთვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტები გაცემული თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან და დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია**

**5.1.** მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 5 პროცენტი

**5.2.** სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში მოითხოვება გარანტია 10 პროცენტი

**5.3.** გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 წლით და 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

**5.4.** გარანტიის პირობები

5.4.1. ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

5.4.2. უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის'' მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

5.4.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას დანართის შესაბამისად (იხილეთ მიბმული ფაილი ,,საბანკო გარანტია".

**6. ანგარიშსწორების პირობები**

**6.1.** წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

6.1.1. საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ასათვისებელი თანხის

არაუმეტეს 20%-ის ოდენობით. თუ მიმწოდებლის მიერ ავანსის სახით გათვალისწინებული თანხა ათვისებული იქნება (ერთჯერადად ან ეტაპობრივად) სრული მოცულობით, მომდევნო საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი თანხის არაუმეტეს 20%-ის ოდენობით შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ავანსის სახით მიცემული თანხა სრულად არის გაქვითული.

6.1.2. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს გარანტია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.1.3. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული „კონტრგარანტია" (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

6.1.4. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად.

**6.2.** ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

6.2.1. ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს სამი სახის ანგარიშსწორება - საავანსო, შუალედური და საბოლოო;

6.2.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისთვის წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაზარდი ჯამის გათვალისწინებით. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების ღირებულებაზე, ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ხელშეკრულების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება;

6.2.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს მისი დადასტურება;

6.2.4. შუალედური ანგარიშსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა #2, ფორმა #3, აკრედიტირებული საექსპერტო დასკვნის წარდგენისა და დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში; საექსპერტო დასკვნის საფასურს ანაზღაურებს „მიმწოდებელი";

6.2.5. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით ფორმა N2, ფორმა N3-სა და აკრედიტირებული საექსპერტო

დასკვნის წარდგენის საფუძველზე, ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ერთეულის ფასების მიხედვით.

6.3. ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

6.3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის დადასტურებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## 7. დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

7.1. დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

7.1.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში;

7.1.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 230290.14 ლარს, დღგ-ს გარეშე;

7.1.3. დეფექტურ აქტში გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას; ხარჯთაღრიცხვა განუფასებლად ჩაითვლება თუ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს;

7.1.4. დაუშვებელია საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება;

7.1.5. პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს და მასში მოცემული პუნქტები განაფასოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N11/251 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლოს სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ'' და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის'' შესაბამისად. ერთნაირი დასახელების სამუშაოზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთნაირი ფასი;

7.1.6. იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი

ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება;

7.1.7. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე და გამოყენებული მასალების ხარისხზე.